

## „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“

ქართული ლექსის ისტორია და თეორია სრულყოფილი ვერ იქნება აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში გავრცელებული მყარი სალექსო ფორმების სპეციფიკის შესწავლისა და გაანალიზების, საქართველოში მათი გავრცელების მიზეზებისა და მასშტაბების ახსნის გარეშე, მით უფრო, რომ ქართული ლექსის რეფორმებმა მეტ-ნაკლები სისრულით აირეკლა ამ ფორმების შემოტანის სიხშირე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლექსმცოდნეობაში არსებობდა ცალკეული მყარი სალექსო ფორმების შესწავლის ტრადიცია, მაგრამ კვლევას სისტემური ხასიათი არ ჰქონია. საჭირო იყო წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი, თანამედროვე ტიპის მონოგრაფიის შექმნა. სწორედ ამგვარი ხასიათისაა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადებული და 2018 წელს გამოცემული ორნიგნეული „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“ (რედაქტორი – ირმა რატიანი).

პირველი ნიგნი ჩვენში ევროპული და აღმოსავლური კულტურული სამყაროდან ამა თუ ეტაპზე შემოსული მყარი სალექსო ფორმების ისტორიასა და სტრუქტურას ეთმობა, მეორე ნიგნში კი თავმოყრილია ქართველი პოეტებისა და მთარგმნელების მიერ ათვისებული უცხოური სალექსო ფორმების ორიგინალური თუ თარგმნილი ნიმუშები.

პირველი ნიგნი ოთხ ათეულ სტატიას აერთიანებს. ნაშრომების ავტორები არიან ქართული ლექსის ცნობილი მკვლევრები: აპოლონ სილაგაძე, თამარ ბარბაქაძე (პროექტის ხელმძღვანელი), თამარ ლომიძე, ლევან ბრეგაძე, ემზარ კვიციანიშვილი და მარიკა ჯიქია. აქვე, დამატების სახით, დაბეჭდილია ლანა გრძელიშვილის, ლალი თიბილაშვილისა და გუბაზ ლეთოდიანის წერილები.

აპოლონ სილაგაძის ნაშრომი „ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები“, რომლითაც იხსნება ნიგნი, თეორიული მნიშვნელობისაა. აქ ჩამოყალიბებული დებულებები განსაზღვრავს, ერთი მხრივ, მყარი სალექსო ფორმების გაგებას და, მეორე მხრივ, ამ ფორმების ადგილს ლექსწყობის სისტემაში. სხვადასხვა მყარი სალექსო ფორმის შესახებ მსჯელობისას ნიგნში შეტანილი სტატიების ავტორები ამ პოსტულატებს ითვალისწინებენ და ეყრდნობიან.

დადგენილია, რომ მყარი სალექსო ფორმების განახლებისა თუ ახალი სქემების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს გარე გავლენები. აპოლონ სილაგაძე, განიხილავს რა აღმოსავლური სამყაროს გავლენას ქართულ ლექსზე, ამ გავლენათა შედეგების კლასიფიკაციასაც გვთავაზობს. მკვლევარი პროფესიულად მსჯელობს შაირის, მუსტაზადის, რობაის, მუსამმატის, მუხამბაზის, თახმისის, ლაზალის, თეჯნისის და ბაითის შესახებ, ერთმანეთს ადარებს ორიგინალურ აღმოსავლურ სქემებსა და მათი გავლენით შექმნილი ფორმების თავისებურებებს და გვიჩვენებს, თუ რა ცვლილებები განიცადეს ამ აღმოსავლურმა მყარმა სალექსო ფორმებმა ჩვენს პოეზიაში.

გარდა აღმოსავლურისა, ქართულ პოეზიაში ძველთაგანვე არაერთი ევროპული მყარი სალექსო ფორმა დამკვიდრდა. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ ბერძნული და ლათინური პოეზიიდან მომდინარე ელეგიური დისტიქი და ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში გავრცელებული იამბიკო. ეს უკანასკნელი ქართულ სასულიერო პოეზიაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ, ბუნებრივია, რომ წარმოდგენილ წიგნში იამბიკოს ორი სტატია ეძღვნება: წერილში „ქართული იამბიკოს კვლევის ისტორიიდან“ თამარ ლომიძე არამარტო მიმოიხილავს ამ სალექსო ფორმის კვლევის ისტორიას ქართულ ფილოლოგიაში, არამედ წარმოაჩენს იამბიკოს დეკლამაციისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ნიშან-თვისებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სილაბურ-ტონური იამბიკოებზე დაკვირვების შედეგად და სხვა ტექსტების გათვალისწინებით, ნაშრომში გამოთქმულია ჰიპოთეზა ძველი ქართული ენობრივი აქცენტუაციის შესახებ, ნაჩვენებია, თუ როგორ იკითხებოდა უძველესი იამბიკოები საუკუნეების წინათ.

ძველი ქართული სასულიერო მწერლობა მდიდარია იამბიკოთა ერთი განსაკუთრებული სახეობით – ორგანზომილებიანი იამბიკოებით ანუ იმგვარი ტექსტებით, რომელთა ნაკითხვა ჰორიზონტალურადაც არის შესაძლებელი და ვერტიკალურადაც, ოღონდ ვერტიკალურად – გარკვეული წესით: აკროსტიქულად, ტელესტიქურად ან მესოსტიქურად. იამბიკოთა ამ განსაკუთრებულ სახეობას ეძღვნება ლევან ბრეგაძის სტატია „ორგანზომილებიანი იამბიკოები“. ავტორი მიუთითებს, რომ ორგანზომილებიან ტექსტთა სახეობების აღმნიშვნელი ტერმინები დასაზუსტებელია, რადგან ხშირად მათ არასწორად იყენებენ. მთავარი მაინც სტატიაში იამბიკოების ორგანზომილებიანობის ფუნქციის – ანუ აკრო-ტელე-მესოსტიქების დანიშნულების გარკვევაა. რა არის აკროსტიქი – მხოლოდ ორნამენტულ-გრაფიკული ხერხი თუ იგი რაიმე საიდუმლოს ინახავს? – ესაა კითხვა, რომელზე პასუხის გაცემასაც ცდილობს მკვლევარი. მისი ინტერპრეტაციით, ორგანზომილებიანი იამბიკოს სტრუქტურა ძალიან მოგვაგონებს სამყაროს ქრისტიანულ მოდელს: ჰორიზონტალური ტექსტი ხილული სამყაროა, რომელშიც უხილავად მყოფობს მისი შემოქმედიც, ხილულ ჰორიზონტალურ სამყაროს თითქოს ზეციდან ვერ-

ტიკალურად ეფინება სამყაროს შემოქმედის უხილავი, მხოლოდ განდობილ-თათვის დასანახი ძალა და მადლი.

სალექსო ფორმის სტრუქტურულ თავისებურებათა მიმართებას ნა-წარმოების შინაართან წიგნში კიდევ ერთი წერილი ეძღვნება. ესაა თამარ ლომიძის გამოკვლევა „ანბანთქებათა სტრუქტურა და ფუნქციები ქართულ პოეზიაში“. ანბანთქება, რომელიც აქამდე თვითმიზნურ პოეტურ ჟანრად მიიჩნეოდა, მკვლევარმა შინაარსისა და ფორმალურ თავისებურებათა ურ-თიერთმიმართების ასპექტში განიხილა და გაარკვია, რომ ანბანთქების ძი-რითადი მახასიათებლები შეესაბამება ე.წ. კლასიკური ეპისტემის იმ ნიშან-თვისებებს, რომლებიც ჩამოაყალიბა მიშელ ფუკომ თავის ნაშრომში „სიტყ-ვები და საგნები“.

აღმოსავლური სამყაროდან, გარდა ანბანთქებისა, ქართულ პოეზიაში არაერთი სალექსო ფორმა შემოვიდა და დამკვიდრდა – მუხამბაზი, რობაი, ლაზალი, ბაიათი, დუბეითი, ყოშმა, უჩლამა... ეს იმ აღმოსავლურ მყარ ფორ-მათა ჩამონათვალია, რომელთაც მონოგრაფიაში სპეციალური ნაშრომები ეძღვნება (ავტორები: აპოლონ სილაგაძე; მარიკა ჯიქია).

ქართულ ლექსმცოდნეობაში დასახელებულ აღმოსავლურ სალექსო ფორმათაგან ყველაზე უკეთ შესწავლილია მუხამბაზი, ზოგი ფორმა კი – თუნ-დაც უჩლამა და ყოშმა – მხოლოდ სპეციალისტთათვის თუ არის ცნობილი. სწორედ ამის გამო უჩლამასა და ყოშმას შესახებ წერილების გაცნობისას მკითხველს ალბათ გააკვირვებს საილუსტრაციოდ მოტანილი ტექსტები. მარიკა ჯიქიას წერილიდან „უჩლამა ქართულ პოეზიაში“, მაგალითად, ირკვე-ვა, რომ ქართული პატრიოტული ლირიკის ორი გამორჩეული ნიმუში – რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ და ილია ჭავჭავაძის „ჩემო კარ-გო ქვეყანავ“ უჩლამას ცალკეულ სახეობებს მიეკუთვნება.

აღმოსავლური სალექსო ფორმების შესახებ მსჯელობა გრძელდება ემ-ზარ კვიციანიშვილის წერილში „მყარი სალექსო ფორმები აშუღურ პოეზიაში“ (მუხამბაზი, დუბეითი, ყოშმა). 1985 წელს გამოცემული ქართული პოეზიის მრავალტომეულის ბოლო, მეთექვსმეტე ტომი – „ქალაქური პოეზია“ ამ ავ-ტორის მიერაა მომზადებული და მისივე ვრცელი წინასიტყვაობა უძღვის. აშუღური პოეზიის შესახებ წარმოდგენილი გამოკვლევა დეტალურად, სის-რულით წარმოაჩენს როგორც აშუღ პოეტთა მხატვრულ ოსტატობას, ისე ამ ტექსტების შემოქმედების ძალას, ავტორის ემოციურ დამოკიდებულებას საანალიზო მასალისადმი.

ემზარ კვიციანიშვილი ამ წიგნში შეტანილი სხვა არაერთი წერილის ავ-ტორიცაა. იგი იკვლევს საფოს, ალკეოსის, რონსარისა და გალაკტიონის სტროფების თავისებურებებს, აგრეთვე – რონდოს, ოქტავასა და მადრიგალს. თითოეული ეს სტატია იმით გამოირჩევა, რომ პოეზიის, ლექსის შესახებ გვე-საუბრება ავტორი, რომელიც ერთდროულად პოეტიცაა და ლექსმცოდნეც.

ევროპულ მყარ ფორმათაგან ქართულმა პოეზიამ ყველაზე უკეთ სონ-ეტი გაითავისა. მისი სათავე საქართველოში XIX საუკუნის პირველი ნახევრი-

დან მოდის. სონეტის ისტორია, გავრცელების დინამიკა, მისი განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზები და ქართული სონეტის თავისებურებები შესწავლილია თამარ ბარბაქაძის სტატიაში „სონეტი საქართველოში“. მკვლევარი საუბარს ქართული სონეტის გენეზისზე მსჯელობით იწყებს და ამ სალექსო ფორმის ისტორიას XXI საუკუნის დასაწყისამდე მოჰყვება.

ამავე ავტორს ეკუთვნის სტატიები ვილანელის, კანცონას, ბალადის, სექსტინასა და ტერცინას შესახებ. თითოეული გამოკვლევა კონკრეტული ფორმის, მისი სპეციფიკის შესახებ ზუსტ ინფორმაციას გვანვდის, ხოლო საილუსტრაციოდ მოხმობილი მასალა უხვი და მრავალფეროვანია.

მეოცე საუკუნეში ქართულ პოეზიაში ჩნდება და თანდათან მკვიდრდება იაპონური მყარი სალექსო ფორმები – ტანკა და ჰაიკუ. ტანკას წარმოშობის ისტორია, მისი თავისებურებები განხილულია თამარ ლომიძის სპეციალურ წერილში „ტანკა, როგორც მყარი სალექსო ფორმა და „ასი უძველესი იაპონური ლექსი ქართულ ენაზე“. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ქართულ ენაზე მოგვეპოვება ტანკას არაერთი ნიმუში, მაგრამ ამ ჟანრის შესახებ ყველაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის ირმა რატიანის მიერ უშუალოდ იაპონური ენიდან ნათარგმნი „ასი უძველესი იაპონური ლექსი“.

თუ როდის და როგორ გაჩნდა და დამკვიდრდა ტანკა და ჰაიკუ ქართულ სინამდვილეში, ამის შესახებ მოგვითხრობს და საინტერესო ცნობებს გვანვდის ლევან ბრეგაძის წერილი „ტანკა და ჰაიკუ საქართველოში“.

ნიგნის ერთი ნაწილი ცალკეულ ავტორთა შემოქმედებაში გამოყენებულ მყარ სალექსო ფორმებს ეთმობა. ამ ფორმებისადმი განსაკუთრებული ინტერესი გამოამყვანეს ქართველმა მოდერნისტებმა, რომლებმაც ჩვენს პოეზიაში არაერთი ახალი, უცხო სალექსო ფორმა შემოიტანეს. ამ მხრივ განსაკუთრებულია გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის დამსახურება, ამიტომ სრულიად კანონზომიერია სპეციალური წერილები ამ პოეტთა შესახებ, რომელთა ავტორია თამარ ბარბაქაძე.

ორწიგნეული „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“ საკითხების მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ქართული ლექსმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი უთუოდ საინტერესო იქნება ქართული ლექსის ისტორიითა და თეორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის, ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ზოგადად, ყველა იმათთვის, ვისაც უყვარს და აინტერესებს ლექსი და პოეზია.

**Natia Sikharulidze**  
**(Georgia)**

**“Fixed Verse Forms of European and  
Eastern Literature in Georgian Poetry”**

**Summary of the review**

**Key words:** fixed verse forms, Georgian poetry.

Fixed verse forms in Georgian poetry, its genesis and typology have not been fundamentally studied. Due to this fact the project carried out in Shota Rustaveli Institute of Georgian literature in the frames of which the book entitled was published in 2018, is of an indispensable importance.

The book (“Fixed Verse Forms of European and Eastern Literature in Georgian Poetry”) has been comprised by the group of the authors. However, the articles are organized in such a compositional way that the book looks like a one wholeness, which gives a thorough impression about fixed verse forms in Georgian poetry as a part of European and Eastern cultures.

The book opens with a theoretical article, which serves a function of a guide. As for the rest scientific papers there are discussed such central question as historical-political, scientific-cultural contexts of forming Georgian poetry, the phases of developing it. The articles of several authors are dedicated to each fixed verse forms as a result of which we receive a wide-scale analysis. Separate papers are dedicated to the prominent representatives of Georgian poetry who settled new fixed forms in Georgian poetry.

Due to the diversity of the themes this book is a huge achievement in Georgian literary studies. It would be of a big interest not only for Georgian literature and scholars of cultural studies of Georgian Verse but also for the youth fond of literature as well as the reader in general.